საქართველო
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა

№ 3558 18 ნოემბერი 2016წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის
იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის
მოადგილეს ბატონ ასტამურ აჩბას

ბატონო ასტამურ,

თქვენი 2016 წლის 09 ნოემბრის №04/2275 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის მეორე მონაკვეთის, სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ.აჩხოტამდე სამშენებლო დოკუმენტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის წინააღმდეგი შეთანხმდეს შპს ,,ენერგოტრანსი"-ს მიერ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტი, თუ მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიამდე შპს ,,ენერგოტრანსი"-ს წარმომადგენლობის მხრიდან მოხდება შეთანხმება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებიც შემხებლობაშია ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერულ ზონასთან და ანძებთან მისასვლელი, ტვირთების გადასაზიდად მოსაწყობი გზების მშენებლობასთან.

პატივისცემით

გივი ქირიკაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი

...ინფრასტრუქტურის და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო
3573
22 11 2016